MES 3 23 0000546602

16/05/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 28 აპრილს 14:00 ს აათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/87576209034?pwd=WklHaXVBbkR2ZVpyTHpoQ1JneDVldz09
Meeting ID: 875 7620 9034
Passcode: 265272

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ზაირა ბერიძე - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პროფესიული განათლების მრჩეველი (საბჭოს წევრი);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნინო შუბითიძე - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტის მენეჯერი (კონსულტანტი) (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი
ნათია შათირიშვილი - დირექტორი
ნინო ქიტიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ალექსი ბერიზაშვილი - „ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ნინო მოდრეკილაძე - „სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელ დაწესებულებაში“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
გურამ ხუნაშვილი - შპს აიტი პროფ.ჯის დირექტორი
გოჩა ჭოლოკავა - შპს არბიტრანსის დირექტორი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
გიული გურგენიძე
ანა მუშეგიანი
ქეთევან ღვანიძე
ალექსანდრე კეკენაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, რომ სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე, შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენელს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „ბუღალტრული აღრიცხვების სპეციალისტი“ /01576/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „ესთეტიკური კოსმეტოლოგიის სპეციალისტი“ /01577/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელ დაწესებულებაში“ /01573/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი“ /01575/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „ბუღალტრული აღრიცხვების სპეციალისტი“ /01576/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა გიული გურგენიძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 17 მარტის №305177 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა გიული გურგენიძემ განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისიში, მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №189.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვების სპეციალისტი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება

დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით არის მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 32; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №189.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებითექსპერტმა განაცხადა, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტებზე, თანაშემწეებზე, მუდმივად არის მოთხოვნა შრომის ბაზარზე, რასაც მოწმობს დასაქმების ვებგვერდებზე განთავსებული განცხადებები. პროფესიის პოპულარობას ხელს უწყობს ასევე მაღალი ანაზღაურებაც. ამ მიზნით აკადემიის მიერ შესწავლილი იქნა შემდეგი ვებ-გვერდები: https://www.jobs.ge/, https://ss.ge/ka/jobs/list?JobsDealTypeId=1&TypeId=63, http://saitebi.net/vakansia.html, http://geojobs.ge/, https://www.hr.ge/. ასევე დასაქმების მაჩვენებლებით, პროფესია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის კვლევებით ტოპ ათეულშია.
ბუღალტრულ აღრიცხვას აკადემია ფაქტობრივად დაარსებიდან (2006 წლიდან) ახორციელებს. მოთხოვნა, პროფესიის დაუფლებაზე მუდმივადაა, რადგან ერთნაირად საჭიროა ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის ბიზნესისთვის, მათი ხელმძღვანელებისთვის, პერსონალისთვის. იგი არის ასევე, არაეკონომიკური განათლების მქონე პირებისათვის ახალი პროფესიის დაუფლების საშუალება. აკადემიას აქვს ასევე, ამ მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების/სტაჟირების პროექტებიც განხორციელებული პარტნიორ დაწესებულებებთან ერთად. სწორედ ერთობლივად განხორციელებულმა, პრაქტიკაზე ორიენტირებულმა სწავლებამ გახადა პროგრამა პოპულარული და მოთხოვნადი.
დარგის ექსპერტმა მიზანთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროგრამის მიზანია, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს ბუღალტერი, რომელიც შეძლებს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, საგადასახადო და საბუღალტრო დავალებების გადაჭრას, საჭირო დოკუმენტაციის შედგენა-გატარებების ასახვას პორტალსა და საბუღალტრო პროგრამაში (ORIS).
პროფესიული მომზადების პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვების სპეციალისტი'' წარმოდგენილია 5 სწავლის შედეგით, რომლებიც სრულად და ამომწურავად მოიცავენ პროგრამის შესწავლისთვის აუცილებელ თემატიკას. ეს სწავლის შედეგებია:
1. ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკა, ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის ელემენტები;
2. საგადასახადო კანონმდებლობა და საქართველოში მოქმედი გადასახადები;
3. სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა;
4. საბუღალტრო კომპიუტერულ პროგრამაში - ORIS - მუშაობა;
5. RS.GE პორტალზე მუშაობა.
აქედან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამის ხანგრძლივობა 12 კვირაა, პროგრამის საათების სრული რაოდენობა შეადგენს 192 საათს. ყოველკვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 16 საათია. სწავლება განხორციელდება აკადემიის B სასწავლო გარემოში. მე-12 სასწავლო კვირის 16 საათი ეთმობა პროგრამით გათვალისწინებული 5 სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებას-პრაქტიკული დავალების შესრულებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამა წარმოდგენილია ელექტრონული სისტემის (qms.eqe.ge - პორტალზე) მიერ გენერირებული ფორმით. პროგრამის დაშვების წინაპირობის ველში მითითებულია: განათლება - სრული ზოგადი; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის მიერ მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობაა - 32 (ორ ცვლაში).

A, B სასწავლო გარემოში განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა. კერძოდ: A - სასწავლო გარემოში განთავსებულია 16 მსმენელისთვის სამუშაო ადგილი (ერთ ცვლაში), რომელიც განკუთვნილია თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, B - სასწავლო გარემოში მსმენელისთვის 16 სამუშაო ადგილი (ერთ ცვლაში). აღნიშნული აუდიტორია აღჭურვილია საჭირო ინვენტარით - მსმენელისთვის და განმახორციელებელი პირისთვის მაგიდები, სკამები, დაფა და საჭირო ტექნიკური მოწყობილობებით - პროექტორი და შესაბამისი მახასიათებლების მქონე ლეპტოპებით, სადაც ჩატვირთულია (ORIS) პროგრამა (16+1 ერთეული).

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის.

პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. პროგრამა სრულად ხორციელდება აკადემიის A და B სასწავლო გარემოში.

ვიზიტის დროს მოხდა დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის შპს ,,არბიტრანსი'' წარმომადგენელთან გასაუბრება და დისტანციურ რეჟიმში დათვალიერება. ადგილზე არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს მსმენელის პრაქტიკულ სწავლებას. „არბიტრანსის“ წარმომადგენელმა გამოხატა მზაობა პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში ერთდროულად მიიღოს 32 მსმენელი.

გასაუბრებისას აკადემიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პარტნიორ ორგანიზაციას ისინი გამოიყენებენ სასწავლო ექსკურსიისთვის, ქეისების განსახილველად, კონსულტაციებისთვის და რეალური მაგალითების წარმოჩენისათვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებით.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებლად წარმოადგინა ორი განმახორციელებელი პირის შრომითი ხელშეკრულებები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება განმახორციელებელ პირებთან, ასევე გადამოწმდა მათი განათლების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით დადებითად შეფასდა პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია. განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები 3 წლის ვადით.

სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. დაწესებულებას წარმოდგენილ პროგრამაში მითითებული აქვს ინტერნეტ რესურსი, მსმენელებს შეუძლიათ სასწავლო რესურსი გამოიყენონ ადგილზე, საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნილი მასალა მიიღონ ამობეჭდილი ან ელ. ვერსიის სახით.

გასაუბრების დროს აკადემიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ იგეგმება ბეჭდური სახით შესთავაზონ მსმენელებს საჭირო სასწავლო მასალა. ამდენად, პროგრამის სასწავლო რესურსი მორგებულია მსმენელებზე და სრულად უზრუნველყოფს მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. აკადემიამ წარმოადგინა სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2022 წლის 20 დეკემბერს ჩატარებული ანგარიში BI – 130, საიდანაც დასტურდება, რომ აკადემიის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტი ,,სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ'' მოთხოვნებს.

აკადემიას აგრეთვე, დირექტორის ბრძანებით (09.02.2023 წ.) დამტკიცებული აქვს ,,პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული პოლიტიკა''.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, გამოცდილების არარსებობის გამო ვერ შეფასდა შემდეგი ქვესტანდარტები: 3.3. 3.5. 3.6. 3.7, ხოლო დანარჩენი ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია.

დარგის ექსპერტმა გული გურგენიძემ პრეზენტაციის დასასრულს წარმოადგინა აკადემიის სასწავლო გარემოების ფოტო-მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კითხვები არ ჰქონდა წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით, მან დასძინა რომ ბუღალტერია არ კარგავს აქტუალობას, მოთხოვნადი სპეციალობაა და წარმატებით განხორციელება უსურვა ორგანიზაციას.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა დასვა კითხვა პროგრამასთან დაკავშირებით, მან მიმართა დარგის ექსპერტს, რომ დაეზუსტებინა აღნიშნული პროგრამა, რომელიც ეხება ელექტრონულ სისტემაში მუშაობას (oris), რამდენად საკმარისია განსაზღვრული 12 კვირიანი სწავლების პერიოდი, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული პერიოდი სავსებით საკმარისია პროგრამის დასაძლევად.

საბჭოს წევრი ნინო შუბითიძე დაინტერესდა ბუღალტრული გატარების სწავლა ერთია, მაგრამ ბუღალტრულ საფუძვლებს თუ სწავლობენ პროგრამის ფარგლებში, რაზეც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია თეორიული კომპონენტი ბუღალტრულ საფუძვლებთან დაკავშირებით და შემდეგ გრძელდება პრაქტიკული კომპონენტი სწავლის შედეგების შესაბამისად.

საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა დასვა კითხვა დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით, დარგის ექსპერტს მიმართა დაეზუსტებინა დაშვების წინაპირობა აღნიშნულ პროგრამაზე, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.

ნინო ველთაურმა განაცხადა, რომ სკეპტიკურად უყურებდა იმ საკითხს, რომ 12 კვირაში შესაძლებელი იყოს ბუღალტერიის შესწავლა, მან მიმართა დარგის ექსპერტს დაეზუსტებინა, თუ რა ისწავლებოდა პროგრამის ფარგლებში, მან დასძინა, ასწავლიან რეალიზაციის ბუღალტერიას, რომელიც ყველაზე მარტივია, ასევე მარტივია ხელფასების გაცემაც, ასეთ ვიწრო მიმართულებებს ასწავლიან, თუ სრულ ბუღალტერიას ფარავენ, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს იქნება სპეციალისტი, რომელიც oris-სა და rs.ge-ზე მოახდენს კონკრეტული დავალებების ასახვას.

ნინო ველთაური დაინტერესდა, თუ რა კვალიფიკაცია მიენიჭებოდა კურსდამთავრებულს სწავლის დასრულების შემდეგ, მან უნდა ისწავლოს თუ როგორ უნდა გაატაროს oris-ში შესაბამისი დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება თვითონ არ ამზადებდეს, მაგრამ თვითონ ატარებდეს. მან დასძინა, რომ მისი აზრით 12 კვირაში ბუღალტერიის სწავლება არ მიაჩნია რეალურად.

მან ასევე განაცხადა, რომ ვინაიდან არის დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელი, ასეთ პროგრამებზე უარს სააგენტო უარს ეუბნება ორგანიზაციებს დაფინანსებაზე, აღინიშნა, რომ სააგენტოს მიერ ჩატარდა გამოკითხვა ბუღალტერიის მიმართულებით და გაირკვა, რომ მხოლოდ 2 პირი იყო დასაქმებული. ისიც იმიტომ, რომ მანამდე მუშაობდა ბუღალტრად, ასევე მანამდე ასეთი კურსით ისწავლა oris და გაიუმჯობესა კვალიფიკაცია. მან ასევე აღნიშნა, რომ არ ექნებოდა კითხვები იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პროგრამა იქნებოდა გადამზადების. აქედან გამომდინარე მან დასძინა, რომ არ ეთანხმებოდა ასეთი სახით პროგრამის განხორციელებას.

საბჭოს წევრი მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა აკადემიაში, რომ ასეთი სახის პროგრამა, მაგალითად, ბუღალტრის თანაშემწე განახორციელა/ დაახელოვნა ორგანიზაციამ ამ ვადაში.
დარგის ექსპერტმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ორგანიზაცია 2006 წლიდან ახორციელებს ასეთი ტიპის პროგრამებს და ასევე, ჩატარებული აქვს ორგანიზაციას კმაყოფილების კვლევა, რომელიც განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე, თუმცა ამასთან დაკავშირებით აკადემიის წარმომადგენელი უფრო ამომწურავად ისაუბრებდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2006 წლიდან მუშაობენ დღემდე, აქვთ ხუთი ფილიალი, ასევე ორგანიზაციას აქვს საბუღალტრო კომპანია, რომელიც ამზადებს მსმენელებს უახლეს პროგრამაში Fina-ში, და არა მარტო oris-ში და rs.ge-ზე, რაც შეეხება აღნიშნულ პროგრამას oris-ის შესწავლას სჭირდება მაქსიმუმ ექვსი საათნახევრიანი შეხვედრა, პროგრამაში წარმოდგენილი თემატიკის შესასწავლად თორმეტი კვირა სავსებით საკმარისია, თუმცა განაცხადა, რომ ეთანხმება საბჭოს წევრის ნინო ველთაურის მოსაზრებას, რომ ბუღალტერიის შესწავლა 12 კვირაში შეუძლებელია, თუმცა იქვე დასძინა, რომ oris-ში და rs.ge-ზე მუშაობისთვის 12 კვირა სავსებით საკმარისია, როგორც მთავარი ბუღალტრის თანაშემწის პოზიციისთვის.
საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა გამოთქვა თავისი პოზიცია, რომ აღნიშნული მომზადების პროგრამის დასახელება იყო შეცდომაში შემყვანი. მან დასძინა, რომ წმინდა საოპერაციო დონეზე შეყავს მსმენელს rs.ge-ზე მასალა, რომელსაც ამზადებს კვალიფიციური ბუღალტერი, მაშინ პროგრამის სახელწოდებაში უნდა გამოჩნდეს, რომ შინაარსში არ არის ბუღალტერია. ძალიან ცხადად ჩანს ის გამოწვევა, რომ თვითონ დამსაქმებლებისთვისაც არ არის ნათელი პროფესიათა აღწერილობები, ასევე პროფესიის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ერთმანეთშია პროფესიები არეული, ოღონდ ეს მხოლოდ ამ დარგში არ ხდება სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ჭირდება ქვეყანას სამუშაო. რომელ პროფესიას რა კვალიფიკაცია ჰქონდეს და რა კვალიფიკაციას რა პროფესია უნდა შეესაბამებოდეს. ის რომ სახელწოდებაში დევს ბუღალტერია, შეიძლება კარგად გაყიდვადი იყოს, მაგრამ ბუღალტერიასთან მინიმალური შემხებლობა ჰქონდეს, ეს არის წმინდა საოპერაციო ნაწილი და ნებისმიერი ადამიანი ამას შეძლებს.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ განაცხადა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა სხვა შემთხვევებთან მიმართებით, სახელწოდების ცვლილებამ გამოიწვია, ასევე შინაარსის ცვლილებაც, მან აღნიშნა, რომ თუ მოხდება შეთანხმება განხორციელდეს სახელწოდების ცვლილება, ისე რომ შინაარსი არ შეიცვალოს, საბჭოს აქვს პრეროგატივა სხდომაზევე განხორციელდეს ცვლილება და შემდგომ გადაწყვეტილებაშიც აისახოს შეცვლილი სახით.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა დაუსვა კითხვა დარგის ექსპერტს, თუ მოხდება სახელწოდების ცვლილება ეს დაფარავს თუ არა პროგრამის შინაარსს, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულს შეუძლია სრულად დაფაროს შინაარსი. შეთანხმდნენ, რომ პროგრამის სახელწოდება უნდა შეცვლილიყო სახელწოდებით - პრაქტიკული ბუღალტერია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „პრაქტიკული ბუღალტერია“ /01576/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემიას (ს/კ: 400306860) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - პრაქტიკული ბუღალტერია /01576/ **(დანართი 1).**

2. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „ესთეტიკური კოსმეტოლოგიის სპეციალისტი“ /01577/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ანა მუშეგიანმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 17 მარტის №305178 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ანა მუშეგიანმა განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისიში (შემდგომში - აკადემია) მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №189. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „ესთეტიკური კოსმეტოლოგიის სპეციალისტი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მესამე; პროგრამის ხანგრძლივობა - 11 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 32; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №189.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კოსმეტოლოგიის სწავლებას აკადემია ფაქტობრივად 2006 წლიდან ახორციელებს. მოთხოვნა, პროფესიის დაუფლებაზე მუდმივადაა. იზრდება ინტერესი ასევე ჯანდაცვისა და მედიცინის მიმართულებით კვალიფიკაციის მქონე პირთა მხრიდანაც, რომლებისთვისაც სილამაზის ინდუსტრიის პროფილით გადამზადება, დასაქმების მარტივი გზაა. პროფესიის პოპულარობას განაპირობებს ასევე მაღალი ანაზღაურება, თვითდასაქმების შესაძლებლობა და ამ ტიპის მომსახურებაზე მომხმარებლის მაღალი მოთხოვნა. სულ უფრო პოპულარული ხდება სილამაზის ინდუსტრიის პროფესიები, ასევე პოპულარული და მზარდია ამ სერვისებით სარგებლობა, რადგან თანამედროვე სილამაზის ინდუსტრიის ტრენდი უკვე, დიდი ან კლუბური ტიპის სალონებია.

დარგში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, ასევე ქვეყნის სტრატეგიული მიზნები ამ მიმართულებით ადასტურებს, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/ პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.
მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის მიზანია მოამზადოს პერსონალური მომსახურების სფეროს სპეციალისტი ესთეტიკური კოსმეტოლოგიის მიმართულებით, რომელიც შეძლებს, სანიტარულ - ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმების დაცვით, სახის კანის მოვლის საბაზისო პროცედურების, მათ შორის სახის და ზურგის არის კოსმეტოლოგიური მასაჟის დაგეგმვა/განხორციელებას, ასევე, ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო პროცედურის, ელექტროლიზისის (ნემსით ეპილაცია) პროცედურის განხორციელებას. პროფესიული მომზადების პროგრამა წარმოდგენილია 8 სწავლის შედეგით, რომლებიც სრულად და ამომწურავად მოიცავენ პროგრამის შესწავლისთვის აუცილებელ თემატიკას. ეს სწავლის შედეგებია:
1. კოსმეტოლოგიური კაბინეტისა და პროცედურების სან-ჰიგიენური მოთხოვნები;
2. კანი, კანის ანატომია და ფიზიოლოგია;
3. სახის წმენდის კოსმეტოლოგიური პროცედურები;
4. სახის, დეკოლტეს და ზურგის მასაჟი;
5. კანის გავრცელებული დაავადებები და ანამნეზის შეგროვების წესი;
6. სახის, კისრისა და ზურგის კუნთების ანატომია;
7. კანის აღდგენის პროცედურები;
8. ელექტროლიზისი.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამის ხანგრძლივობა 11 კვირაა, პროგრამის საათების სრული რაოდენობა შეადგენს 205 საათს, აქედან 140 საათი ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს. ყოველკვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 16-20 საათია.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამა წარმოდგენილია ელექტრონული სისტემის (qms.eqe.ge - პორტალზე) მიერ გენერირებული ფორმით. პროგრამის დაშვების წინაპირობის ველში მითითებულია: განათლება - საბაზო; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის მიერ მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობაა-32. ვიზიტის დროს შემოწმებულ იქნა პროგრამის განხორციელებისთვის აკადემიის მფლობელობაში არსებული შესაბამისი მატერიალური რესურსები, დათვალიერება მოხდა ადგილზე და ასევე გადამოწმდა ინვენტარის მიღება-ჩაბარების (ფლობის დამადასტურებელი) დოკუმენტაციაც.
თეორიული და პრაქტიკული კომპონენტისთვის აკადემიაში გამოყოფილია: ორი - A-სასწავლო გარემო, სამუშაო ადგილით: მასწავლებლისთვის/ინსტრუქტორისთვის - 1 სამუშაო ადგილი, მსმენელისთვის - 8 სამუშაო ადგილი. ერთი - C - სასწავლო გარემო - კოსმეტოლოგიური კაბინეტი (2 სამუშაო ადგილით, 1 კოსმეტოლოგიური სავარძელი, 1 ტახტი).
სწავლება ხორციელდება წყვილში, მსმენელები წარმოადგენენ ერთმანეთის მოდელებს, შესაბამისად 2 მსმენელზე გათვალისწინებულია 1 სამუშაო ადგილი. თუმცა პრაქტიკული კომპონენტი ასევე ხორციელდება პარტნიორ დაწესებულებაში. პროგრამაზე მსმენელთა ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრება 32 მსმენელი, ოთხ ჯგუფად (ჯგუფში 8 მსმენელი).
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის.

პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. პროგრამის განხორციელების უმეტესი ნაწილი (140 საათი) ხორციელდება აკადემიის C - სასწავლო გარემოში და პარტნიორ ორგანიზაციასთან.
ვიზიტის დროს მოხდა პარტნიორი ორგანიზაციის შპს ,,ენდორფინის'' დათვალიერება. ადგილზე არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს მსმენელის პრაქტიკულ სწავლებას. განხორციელდა გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან, რომელმაც გამოხატა მზაობა პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში ერთდროულად 32 მსმენელის მიღების.
პროგრამის განმახორციელებლად აკადემიას განსაზღვრული ყავს ორი განმახორციელებელი პირი.
ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება განმახორციელებელ პირებთან, ასევე, გადამოწმდა მათი განათლების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით დადებითად შეფასდა პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია. განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები 3 წლის ვადით.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. დაწესებულებას წარმოდგენილ პროგრამაში მითითებული აქვს ინტერნეტ რესურსი, მსმენელებს შეუძლიათ სასწავლო რესურსი გამოიყენონ ადგილზე, საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნილი მასალა მიიღონ ამობეჭდილი ან ელ. ვერსიის სახით.
გასაუბრების დროს აკადემიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ იგეგმება ბეჭდური სახით შესთავაზონ მსმენელებს საჭირო სასწავლო მასალა. ამდენად, პროგრამის სასწავლო რესურსი მორგებულია მსმენელებზე და სრულად უზრუნველყოფს მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.
აკადემიამ წარმოადგინა სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2022 წლის 20 დეკემბერს ჩატარებული ანგარიში BI – 130, საიდანაც დასტურდება, რომ აკადემიის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტი ,,სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ'' მოთხოვნებს.
აკადემიას აგრეთვე, დირექტორის ბრძანებით (09.02.2023 წ.) დამტკიცებული აქვს ,,პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული პოლიტიკა'', ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.
შემდეგ დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია. რაც შეეხება მესამე სტანდარტს, გამოცდილების არარსებობის გამო ვერ შეფასდა შემდეგი ქვესტანდარტები: 3.3. 3.5. 3.6. 3.7, ხოლო დანარჩენი ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია. პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ასეთი ტიპის პროგრამას თუ ახორციელებდა აკადემია ადრე, რაზეც დირექტორმა აღნიშნა, რომ ადრეც ჰქონდათ მსგავსი კურსები, თუმცა დადგა იმის საჭიროება, რომ პირები, რომლებიც ამ პროგრამაზე ისწავლიან იყვნენ სერტიფიცირებულები. მან აღნიშნა, რომ 17 წელია ახორციელებენ პროგრამებს არაფორმალურად, აღნიშნულ სფეროში აქვთ გარკვეული გამოცდილება, თუმცა გადაწყვიტეს შემოეტანათ აღნიშნული პროგრამა უფლების მოპოვებაზე, მათ სურთ ჰყავდეთ გარე მაკონტროლებელი ორგანო და შესაბამისად გასცენ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაშვების წინაპირობა წარმოდგენილ პროგრამაზე არის საბაზო განათლება, აკადემიას მოთხოვნილი აქვს 32 მსმენელი, იმ შემთხვევაში, თუ დარეგისტრირდა მეტი აპლიკანტი დადგება ორი ჯგუფის გახსნის აუცილებლობა, პრაქტიკული კომპონენტისთვის აღჭურვილობა საკმარისი იქნება 32 მსმენელზე თუ არა, თუ პრაქტიკული კომპონენტის ნაწილი პრაქტიკის ობიექტზე ხორციელდება.

აკადემიის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აკადემიაში ხორციელდება თეორიული ნაწილი, თუმცა მეტი წილი პრაქტიკული კომპონენტის ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ ესწრებოდა სხდომას პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი და სწავლება 15 მსმენელზე განხორციელდება, თუ 15 მსმენელი გაიყოფა ორ ჯგუფად, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ცხადია, უნდა გაიყოს ჯგუფებად, ვინაიდან შეუძლებელი იქნება სწავლის შედეგების მიღწევა.
ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ დასვა დამაზუსტებელი კითხვა ჯგუფში მსმენელების რაოდენობასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული პროგრამის დაფინანსების მიზნებისთვის ეს მნიშვნელოვანია, რადგანაც, რაც მეტი იქნება ჯგუფების რაოდენობა, შესაბამისად მეტი იქნება განმახორციელებლების ანაზღაურებაც, აქედან გამომდინარე საინტერესოა თუ რამდენ მსმენელს მოიაზრებს აკადემია ერთ ჯგუფში.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ამაზე ყურადღება იქნა გამახვილებული, თუ როგორ მოხდება 32 მსმენელის განაწილება, რაზეც დაწესებულების მხრიდან მიიღეს პასუხი, რომ მსმენელები დაიყოფა 4 ჯგუფად, ერთ ჯგუფში იქნება 8 მსმენელი. აქედან გამომდინარე ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს შესაძლებელია, ასევე მზაობა დაადასტურა პრაქტიკის ობიექტის „ენდორფინის“ წარმომადგენელმა.
საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ დარგის ექსპერტს პრეზენტაციაში ნახსენები ჰქონდა, რომ ერთდროულად 32 მიღება არის დაგეგმილი პრაქტიკის ობიექტზე შპს „ენდორფინში“, შესაბამისად ამ დოკუმენტებში ეს ნაწილი გასასწორებელია, ვინაიდან წარმოუდგენელია 32 მსმენელის ერთდროულად მიღება პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.
მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა თუ რას მოიაზრებდა პრაქტიკული მეცადინეობის წარმართვა წყვილებში, რაც მოიაზრებს იმას, რომ მსმენელები ერთმანეთის მოდელი იქნება, და თხოვა დარგის ექსპერტს დაეზუსტებინა.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს ამ სფეროში მიღებული პრაქტიკაა, თუ სწავლა უნდა პირს, მანაც უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ პროცედურებში და დასძინა, რომ აკადემია ამას დიდი ხანია აკეთებს.
აკადემიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთმანეთის მოდელობა აპრობირებული მეთოდია, თუმცა ესეც არ არის პრობლემა, აკადემიაში არის მულაჟები, შესაძლებელია ამ მულაჟებზე პროცედურების ჩატარება, და იქვე დასძინა, რომ მულაჟებს ნაკლებად იყენებენ, უფრო ერთმანეთს უკეთებენ ან მოყავთ მეგობრები ამ პროცედურების ჩასატარებლად.
მარიკა ზაქარეიშვილმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ვინაიდან აკადემიამ უნდა მოიპოვოს უფლება ამ პროგრამის განხორციელებაზე, შესაბამისად კურსდამთავრებულებზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი, სტანდარტი უნდა აიწიოს, თუმცა დასძინა, რომ ალბათ შესაძლებელია
პრაქტიკაში ასეც იყოს, რაზეც აკადემიის წარმომადგენელმა დასძინა, რომ აკადემიაში არის მულაჟები და რა მითითებებიც იქნება საბჭოს მხრიდან, აუცილებლად მიიღებენ და გაითვალისწინებენ.
შპს „ენდორფინის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსის მსმენელებს თვითონვე აქვთ სურვილი რომ იყვნენ მოდელები, განიცადონ ის შეგრძნებები, რა შეგრძნებებიც აქვთ პაციენტებს, ასევე არიან ისეთებიც, რომელნიც საერთოდ არ არიან ნამყოფი კოსმეტოლოგთან, რა თქმა უნდა ასეთ შემთხვევაში უარს ვერ ეტყვი, ასევე აქვთ სურვილი მოიყვანონ თავიანთი მეგობრები.
საბჭოს თავმჯდომარე ნინო ბაბალაშვილი დაინტერესდა, ვინაიდან პროცედურები მოიცავს ასევე ეპილაციას, ვინ არის პასუხისმგებელი რომ მოდელს ინფექცია შეეჭრას პროცედურის დროს, რაზეც აკადემიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გართულებები ზოგჯერ ქირურგიული ოპერაციის დროსაც ხდება, ამის გარანტიას ვერავის ვერ მისცემ, თუმცა პროცედურები კეთდება ჰიგიენური ნორმების დაცვით.

ლანა გაჩეჩილაძემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ცენტრს აქვს გამოცდილება კოსმეტოლოგიის განხრით და დასძინა, რომ თვითონ იყო მისული პრაქტიკაზე და მსმენელებმა მასზე გააკეთეს პროცედურა. აღნიშნული ორგანიზაცია აცხადებდა, ვისაც უნდოდა ძვირადღირებული მომსახურება, უსასყიდლოდ მიიღებდა ამ მომსახურებას. შესაბამისად თვითონაც იღებს ის პირი პასუხისმგებლობას, თუმცა პროცესს მეთვალყურეობას უწევს პრაქტიკის ხელმძღვანელი, აქედან გამომდინარე რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი.
მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy-ს თუ აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და როგორ მიმდინარეობს იქ სწავლება, რაზეც ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ აღნიშნა, რომ ყავთ მოდელები, ეს არის აპრობირებული მეთოდი, ერთმანეთზე აკეთებენ სხვადასხვა პროცედურებს, როგორიცაა მანიკური, პედიკიური და სხვა კოსმეტოლოგიური პროცედურები.
ნინო ველთაურმა ამასთან დაკავშირებით დაადასტურა, რომ მოდელირების დროს ყურადღება ექცევა იმას, რომ ყველა ჰიგიენური სტანდარტების დაცვით ხდება პროცედურების ჩატარება, ეს არის ზუსტად გენერალური რეპეტიცია, მიღებული პრაქტიკაა, ჩვენს ქვეყანაში ეს მუშაობს.
პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეიძლება პროცედურების ჩატარების დროს შეიჭრას ინფექცია, თუმცა საოპერაციოშიც არ არის გარანტირებული პაციენტი, სწორედ ამ მიზნით მსმენელები თავიდან სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს ისწავლიან, ხოლო შემდეგ პრაქტიკულად განახორციელებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „ესთეტიკური კოსმეტოლოგიის სპეციალისტი“ /01577/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემიას (ს/კ: 400306860) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ესთეტიკური კოსმეტოლოგიის სპეციალისტი /01577/ **(დანართი 2).**

3. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელ დაწესებულებაში“ /01573/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს,

იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ქეთევან ღვანიძემ, მან აღნიშნა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 13 მარტის №285605 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტმა ქეთევან ღვანიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია აბდალაძემ 2023 წლის 17 მარტს განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისიში, ქ. თბილისში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელ დაწესებულებაში“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტის დროს ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, ხარისხის მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროგრამის განმახორციელებელ პირთან, ადმინისტრაციასთან. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის
შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი, მოხდა გასაუბრება ორ პარტნიორ
კომპანიასთან პრაქტიკული კომპონენტის სწავლების მიზნით.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ორი რეკომენდაცია, კერძოდ
1.6 ქვესტანდარტი - სასურველია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგი „ადრეული განათლების სააღმზრდელო პროცესისთვის უსაფრთხო და ეფექტური გარემოს უზრუნველყოფა“ მოიცავდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების შესწავლის თემატიკას, ვინაიდან მსმენელმა სრულყოფილად შეძლოს ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, როგორც უსაფრთხო ფიზიკური გარემოს მოწყობით, ასევე ბავშვისათვის პირველადი დახმარების გაწევის გზით ნებისმიერ საჭირო სიტუაციაში.
2.1 ქვესტანდარტი - პროგრამის მდგრადობისათვის რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პირის დამატება (რეზერვი მასწავლებელი), რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეძლებს ჩაანაცვლოს აკადემიის მიერ შერჩეული პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებელი.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის სახე - გადამზადება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე; პროგრამის ხანგრძლივობა: 14 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 32; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №189.
დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთების დოკუმენტი. ამ მიმართულებაზე არჩევანი განაპირობა, ერთი მხრივ, მაღალმა მომართვიანობამ, აკადემიის მიერ უკვე დაგროვილმა სწავლების გამოცდილებამ და ასევე, ბაზარზე ამ მიმართულებით მაღალმა მოთხოვნამ. აღნიშნული მიმართულება ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული და სტრატეგიული მიმართულებაა, ამასთან ეს მიმართულება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესიული განათლების დეკლარირებული მიზნების შესრულებას - ხელი შეუწყოს პიროვნების თვითგანვითარებასა და თვითდასაქმებას.
აკადემიის მიერ შესწავლილი იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ბოლო წლების პერიოდში აპლიკანტთა რეგისტრაციის დინამიკა. სტატისტიკური მონაცემები აღებული იქნა მხოლოდ თბილისის რეგიონზე: 2021 წელს პროგრამის განმახორციელებელი პროვაიდერების მიერ სულ გამოცხადებული იქნა 544 ადგილი, რეგისტრირებული იყო 1191 აპლიკანტი. 2022 წლის სტატისტიკური მონაცემები ამ ეტაპისთვის გამოქვეყნებული არაა, თუმცა რეგისტრაციის პერიოდში გამოქვეყნებული ინფორმაცია პოზიტიური იყო. მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის

მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზე მაღალია, რაც განპირობებულია ასევე სკოლამდელი აღზრდის სისტემაში მიმდინარე რეფორმით, ასევე დარგში მიღებული ხარისხისა და აღმზრდელის საგანმანათლებლო, პროფესიული ახალი სტანდარტებით. ასევე მნიშვნელოვანი და პროგრესული ნაბიჯია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სავალდებულო ავტორიზაცია, რომელიც 2023 წლიდან იწყებს ამოქმედებას. გადაწყვეტილების საფუძველია ისიც, რომ განათლების ეს მიმართულება და საგანმანათლებლო პროგრამა შეტანილია განათლების სისტემის პრიორიტეტებში დარგში რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტების კვალიფიკაციას. 2018 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით საქართველოში 57 მუნიციპალიტეტიდან ბაგა-ბაღში მომუშავე აღმზრდელთა 44,2 %-ს არ აქვს დარგობრივი მიმართულებით (სკოლამდელი აღზრდა) განათლება მიღებული. ამავე კვლევით გამოიკვეთა, რომ აღმზრდელების მსგავსად, დირექტორთა 50% არ ფლობს ბავშვთა ადრეულ აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებულ განათლებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლება და მინიმუმ 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.

პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 14 (თოთხმეტი) კვირას, 18 სთ. კვირეული დატვირთვა. სულ 240 სთ. ბოლო კვირა დათმობილი აქვს განმსაზღვრელ შეფასებას. სწავლების თეორიული ნაწილი განხორციელდება დაწესებულებაში, ხოლო პრაქტიკული ნაწილი გათვალისწინებულია პარტნიორი ორგანიზაციების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ. პროგრამის ხანგრძლივობა მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია.

დაწესებულებას პროგრამისთვის განსაზღვრული ჰყავს ერთი განმახორციელებელი პირი, დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო აღნიშნულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც შეცდომით იყო მითითებული მასზე დაკისრებული მოვალეობა. ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ წარმოადგინა შესწორებული შრომითი ხელშეკრულება, სადაც შესაბამისობაში მოიყვანა ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.2 პუნქტი, რომელიც აღნიშნავს დასაქმებულის მიერ განსახორციელებელი პროგრამის სახელწოდებასა და მის მოვალეობას. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ასევე დასაქმებულის სხვა უფლება–მოვალეობები, რომლის შესრულებაც ევალება აღნიშნულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. ექსპერტის მიერ ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებლის პირადი საქმე და შედგა გასაუბრება. აღნიშნულიდან გამომდინარე დადგინდა, რომ აკადემიის მიერ შერჩეულ პიროვნებას აქვს შესაბამისი კომპეტენცია და პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ დარგში და შესაბამისად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა რეკომენდირებულია დაწესებულებამ დამატებით გააფორმოს ხელშეკრულება ასევე შესაბამისი გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე პირთან, რომელიც იქნება პროგრამის რეზერვი მასწავლებელი, რათა უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ აკადემიას პროგრამის განსახორციელებლად გააჩნია ერთი A გარემო, რომელიც აღჭურვილია პროგრამისათვის საჭირო მატერიალური რესურსით. კერძოდ აუდიტორიაში განთავსებულია მსმენელის 16 მაგიდა და სკამი, განმახორციელებლის ერთი მაგიდა და სკამი, დემონსტრირების საშუალება – 1, კომპიუტერი – 1, დაფა – 1. დაწესებულებას ასევე, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება რომლის თანახმადაც პარტნიორი ორგანიზაცია (საბავშვო ბაღი ,,ერუდიტები“) ვალდებულებას იღებს (ორ ფილიალში) უზრუნველყოს აკადემიის 16–16 მსმენელის დაშვება ობიექტზე და საკუთარი რესურსით უზრუნველყოს მათთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლება.

დაწესებულებას სურს პროგრამაზე მიიღოს 32 მსმენელი ორი ცვლის გათვალისწინებით. ექსპერტები გაესაუბრნენ პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელმაც თავის მხრივ დაადასტურა მზაობა აკადემიის მსმენელთა პრაქტიკული კომპონენტით მომსახურებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ თითოეულ ფილიალს გააჩნია ექვსი აღსაზრდელთა ყველა ასაკობრივი ჯგუფი, დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი გამოცდილების კვალიფიციური კადრი, რაც აკადემიის მსმენელებს საშუალებას მისცემს განიმტკიცონ თეორიული ცოდნა. ბაგა–ბაღის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკადემიის მსმენელებს საშუალება ექნებათ მონაცვლეობით გადანაწილდნენ სააღმზრდელო ჯგუფებში და გაეცნონ ბავშვის განვითარების თავისებურებებს დაწყებული 2 წლის ასაკიდან სასკოლო მზაობის ასაკამდე.

რაც შეეხება სასწავლო რესურსებს, აკადემიას აღნიშნული პროგრამისთვის განსაზღვრული აქვს ათი სასწავლო ინტერნეტ რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელთათვის. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების დაბეჭდვას საკუთარი სახსრებით და მსმენელთათვის გადაცემას.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. დაწესებულებამ წარმოადგინა 2022 წლის 20 დეკემბრის სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს ანგარიში სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში. რომლითაც დასტურდება ქ. თბილისში დ. აღმაშენებლის გამზ.N189-ში მდებარე აკადემიის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტი ,,სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, მესამე სტანდარტი ძირითადად არ ექვემდებარება შემოწმებას, რადგან დაწესებულება არაფორმალურიდან პირველად შემოდის ფორმალურ განათლებაში, თუმცა აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია, როგორიცაა ხარისხის მექანიზმები, მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მართვის წესი, მსმენელთა შეფასების შესახებ, რომელიც შეფასდა, როგორც შესაბამისობაში და 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას.

პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს წევრმა ნინო შუბითიძემ მიმართა ორგანიზაციის წარმომადგენლებს დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება. ნინო შუბითიძე დაინტერესდა, აღნიშნულ პროგრამაზე მისაღები პირები თუ გადიან ფსიქოლოგიურ შემოწმებას, ვინაიდან როდესაც პირს ეძლევა აღმზრდელის სერტიფიკატი, აკადემია იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობას, ვინაიდან შემდგომ ეს კადრები გააგრძელებენ მუშაობას სხვადასხვა სააღმზრდელო დაწესებულებებში.

კურსის კოორდინატორმა ნინო მოდრეკილაძემ, რომელიც არის 123-ე საბავშვო ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, აღნიშნა, რომ ვინაიდან წინაპირობაში აღნიშნულია მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება სააღმზრდელო დაწესებულებაში, ეს პირი თავისთავად წარადგენს ჯანმრთელობის დამადასტურებელ ცნობას, შესაბამისად ბაღში რომ იწყებს მუშაობას, სავალდებულოა ამ დოკუმენტაციის წარდგენა, აქედან გამომდინარე პროგრამაზე დარეგისტრირების დროს ამის მოთხოვნის საფუძველი არ არსებობს. ასევე აღინიშნა, რომ როდესაც პირი საქმდება სააღმზრდელო დაწესებულებაში წარადგენს ჯანმრთელობის დამადასტურებელ ცნობას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა კვალიფიკაცია ექნება პირს, აღმზრდელის თუ აღმზრდელის თანაშემწის, რაზეც ნინო მოდრეკილაძემ უპასუხა, რომ ეს იქნება აღმზრდელის თანაშემწე. მან დასძინა, რომ ამ ეტაპზე ბაღში მუშაობენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ მხოლოდ სრული ზოგადი განათლება და მუშაობენ აღმზრდელის თანაშემწის პოზიციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელ დაწესებულებაში“ /01573/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემიას (ს/კ: 400306860) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელ დაწესებულებაში /01573/ **(დანართი 3).**

4. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი“ /01575/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ, მან აღნიშნა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 13 მარტის №285608 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია აბდალაძემ 2023 წლის 17 მარტს განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისიში, ქ. თბილისში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტის დროს ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, ხარისხის მენეჯერთან, სასწავლო პროცესების მენეჯერთან, პროგრამის განმახორციელებელ პირთან, ადმინისტრაციასთან. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი 1.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ,
1.3 ქვესტანდარტი - მიზანი არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და არ არის შესაბამისობაში სწავლის შედეგებთან, მიზანში არ არის ნახსენები პროგრამით გათვალისწინებული 3 სწავლის შედეგი.
ასევე, გაიცა ერთი რეკომენდაცია 2.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ

2.1 ქვესტანდარტი - პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ერთ მასწავლებელთან, რეკომენდირებულია დაწესებულებამ მოიძიოს და ხელშეკრულება გაუფორმოს მეორე მასწავლებელს პროგრამის მდგრადობისთვის.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა მომზადება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა: 12 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №189.
რაც შეეხება პროგრამის საჭიროების დასაბუთებას, მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთების დოკუმენტი, სადაც გაწერილია, რომ ციფრული ტექნოლოგიები უსწრაფესად ცვლის 21 საუკუნის ეკონომიკურ ლანდშაფტს და მართვის ტრადიციულ მიდგომებს, სტრუქტურას და ბაზარზე ოპერირების ბიზნეს მოდელებს. საერთაშორისო კვლევის თანახმად, ევროპაში IT მიმართულებით იმდენად მზარდია მოთხოვნა, რომ კადრების, ცოდნისა და გამოცდილების დეფიციტს ქმნის. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფერო, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც განიცდის სწრაფ აღმავლობას. სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების პირობებში კი IT სპეციალისტების უნარი თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს ხშირად ვერ აკმაყოფილებს, რაც მუდმივ მოთხოვნას ქმნის IT პროგრამების/ცოდნის განხორციელება-განახლებისთვის ფორმალური თუ არაფორმალური სივრცეში. ყოველდღიურად მატულობს ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი, მოხმარების სიხშირე და მასშტაბები. აკადემია, არსებობის მანძილზე ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით სხვადასხვა სასერტიფიკატო პროგრამებს ახორციელებს. მოთხოვნა, პროფესიის დაუფლებაზე მუდმივადაა, რადგან უკვე ერთნაირად საჭიროა ნებისმიერი ბიზნესისთვის, მათი ხელმძღვანელებისთვის, პერსონალისთვის, იქნება ეს დიდი, საშუალო თუ მცირე. აკადემიას აქვს ყველა რესურსი, გამოცდილი და კვალიფიციური განმახორციელებელი პირები, დარგის სპეციალისტები, სასწავლო რესურსი, კვალიფიციური პერსონალი, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას მაღალი სტანდარტით უზრუნველყოს პროგრამაზე სწავლება, რასაც ასევე მოწმობს კმაყოფილი კურსდამთავრებულების გამოხმაურება (https://bdc-academy.ge/ რუბრიკა „რას ამბობენ ჩვენზე“). აღნიშნული მიმართულება ასევე ხელს უწყობს პროფესიული განათლების მიზნებისა და სტრატეგიის განხორცილებას, გამომდინარე იქიდან რომ სპეციალისტები თავად ქმნიან მომსახურების კომპანიებს, რადგან ასევე გავრცელებული პრაქტიკაა ამ ტიპის მომსახურების აუთსორსზე გატანა. ბაზარზე არსებული ფაქტობრივი გარემოებები და აკადემიის უკვე მრავალწლიანი გამოცდილება ამ მიმართულებით ადასტურებს ამ პროგრამის შემუშავებისა და განხორცილების მიზანშეწონილობას.
პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: - საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. პროგრამა ითვალისწინებს სწავლის 3 შედეგის მიღწევას:
1. კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა;
2. აპარატურული და პროგრამული რისკები - პრევენციული და აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება;
3. მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელის გამართვა;
პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 12 კვირას, სულ 168 სთ. (8 საათი პირველ და მეშვიდე კვირაში, 16 სთ, მეორედან მეექვსე კვირის ჩათვლით და მერვე კვირიდან მეთერთმეტე კვირის ჩათვლით, მე-12-ე კვირაში 6 საათი განმსაზღვრელი შეფასებისათვის). პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი“ სწავლების თეორიული და პრაქტიკული ნაწილი მთლიანად განხორციელდება დაწესებულებაში.

პროგრამაში გათვალისწინებულია გაცნობითი ექსკურსია პარტნიორ ორგანიზაციასთან, სადაც დააკვირდებიან პრაქტიკულ პროცესებს. ექსპერტის შეფასებით, წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობა მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია.
დაწესებულებას პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილი ჰყავს ერთი პირი, რომელთანაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. დაწესებულებამ წარმოადგინა განმახორციელებელი პირის პირადი საქმე, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომითა და შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებელს უდასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. ვიზიტის დროს მოხდა განმახორციელებელთან გასაუბრება, აღნიშნულ პირს გამოცდილებასთან ერთად აქვს დიდი მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელებისა.
რეკომენდაცია გაიცა, ერთი განმახორციელებელი რომ დაემატოს პროგრამის მდგრადობის მიზნით.
რაც შეეხება მატერიალურ რესურსს, დაწესებულების მიერ მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობაა -20. პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობები, რომლის საშუალებითაც მსმენელებს შეუძლიათ სრულფასოვნად აითვისონ პროგრამით გათვალისწინებული საკითხები. კონკრეტულად ამ პროგრამისთვის შენობაში გამოყოფილია შესაბამისი ABC სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია ერთდროულად 10 მსმენელისთვის შესაბამისი სამუშაო მაგიდა და სკამი, ასევე, კომპიუტერები და ციფრული სადემონსტრაციო საშუალებები. აუდიტორიაში განთავსებული კომპიუტერების მონაცემები, პარამეტრები სრულად შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს. აქვე განლაგებულია დარგობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი, სტანდარტით გათვალისწინებული აღჭურვილობა. აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამაზე მსმენელთა ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრება 20 მსმენელი, ორ ჯგუფად. პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით.
სწავლის შედეგების მიღწევას დაწესებულება თავის გარემოში აპირებს. პრაქტიკული კომპონენტის პროცესების სანახავად, გაცნობითი ხასიათის ვიზიტების/ექსკურსიის სახით ჰყავს პარტნიორი - შპს აიტი პროფ.ჯი, რომელთანაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა 2025 წლის 25 დეკემბრამდეა. ხელშეკრულების საფუძველზე, პარტნიორი მზადაა საკუთარი ადამიანური და მატერიალური რესურსით განახორციელოს დამკვეთის, პროგრამის მსმენელების დაშვება და გაცნობითი ხასიათის შეხვედრების გატარება თავის ობიექტზე, მზადაა ერთდროულად გაცნობითი შეხვედრისთვის მიიღოს ერთ ეტაპზე 10 მსმენელი.
სასწავლო რესურსთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს 7 ინტერნეტ რესურსი. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. სასწავლო ლიტერატურა ჩატვირთულია დაწესებულებაში არსებულ კომპიუტერში და ასევე განმახორციელებლის პერსონალურ კომპიუტერში.
დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო რესურსის ბეჭდვას საკუთარი ხარჯებით და მსმენელთათვის გადაცემას.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. დაწესებულებამ წარმოადგინა 2022 წლის 20 დეკემბრის სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს ანგარიში სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში. რომლითაც დასტურდება ქ. თბილისში დ. აღმაშენებლის გამზ. №189-ში მდებარე ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების ტექნიკურ რეგლამენტს ,,სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.
გარდა ამისა, დაწესებულებას აქვს შემუშავებული და დირექტორის მიერ 2023 წლის 9 თებერვალს დამტკიცებული დოკუმენტი - ,,პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის

უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული პოლიტიკა“, რომელიც შემუშავებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად, დოკუმენტი ვრცელდება ყველა პირზე, ვინც პასუხისმგებელია დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოებისა და შრომის სტანდარტების დაცვის მართვაზე.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, მესამე სტანდარტი ძირითადად არ ექვემდებარება შემოწმებას, რადგან დაწესებულება არაფორმალურიდან პირველად შემოდის ფორმალურ განათლებაში, თუმცა აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია, როგორიცაა ხარისხის მექანიზმები, მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მართვის წესი, მსმენელთა შეფასების შესახებ, რომელიც შეფასდა, როგორც შესაბამისობაში და 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას.
პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
დარგის ექსპერტმა მიზანთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესაძლებელია მიზანში ყველა სწავლის შედეგი არ იყოს ასახული, თუმცა ამ პროგრამის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის შედეგი - მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელის გამართვა, რომელიც მიზანში არ აისახა, სწორედ აქედან გამომდინარე იქნა დახარვეზებული მიზანი.
პროგრამის განმახორციელებელმა პირმა ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთან ამ საკითხზე ისაუბრეს, ნამდვილად არ ჩანს მიზანში მესამე შედეგი, თუმცა მისი აზრით ეს ხარვეზი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ რეკომენდაცია, მან დასძინა, რომ არ არსებობს ისეთი ნორმატიული აქტი, სადაც გაწერილია, რომ მიზანში ყველა შედეგი უნდა იყოს გათვალისწინებული. მიზანში შეუძლებელია გაწერილი იყოს ყველა სწავლის შედეგი, თუმცა თუ ეს წარმოადგენს აუცილებლობას, გაითვალისწინებენ.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ცალსახად პირდაპირი მითითება არ არის არც ერთ ნორმატიულ აქტში გაწერილი, რომ ყველა სწავლის შედეგიდან უნდა ფიქსირდებოდეს ყველა სიტყვა, შეიძლებოდა ეს ხარვეზი რეკომენდაციის სახითაც გაცემულიყო, თუმცა ექსპერტმა ჩათვალა საჭიროდ ხარვეზის სახით ასახულიყო დასკვნაში, მან დასძინა, რომ მისი აზრით ადვილად გამოსწორებადი ხარვეზია, რომ არ ფიქრობს, რომ ერთთვიანი ხარვეზის გამოსწორების ვადა მიეცეს დაწესებულებას. მან მიმართა საბჭოს წევრებს, იქნებოდნენ თუ არა თანახმა, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე, მითუმეტეს დაწესებულება იზიარებს დარგის ექსპერტის რეკომენდაციას, ტექნიკურად შეასწორონ, თუმცა შეგვიძლია ეს პრობლემა, ანუ ხარვეზი აქვე მოვაგვაროთ.
აკადემიის ხარისხის მენეჯერმა დასვა შეკითხვა, თუ რამდენად აუცილებლობას წარმოადგენს ყველა შედეგის ასახვა მიზანში, მაგ., თუ პროგრამას აქვს რვა სწავლის შედეგი, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ არ არსებობს იმპერატიული დირექტივა ამასთან დაკავშირებით. მან მიმართა დარგის ექსპერტს, თუ რას ფიქრობდა ამ საკითხთან დაკავშირებით, დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ეს არის ცალკე ქსელის მხარე, თუმცა საბჭოს გადასაწყვეტია, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს. დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულებას იქვე გაეცნო ამ ხარვეზის თაობაზე, მითუმეტეს ეს შედეგი მნიშვნელოვანია რომ ასახული იყოს მიზანში, ვინაიდან ქსელი საერთოდ არ არის ასახული მიზანში.
ნინო ბაბალაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს გაეკეთებინათ კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ აღნიშნა, რომ თუ დაწესებულება ჩაასწორებს მიზანს, შესაძლებელია, უფლების მინიჭებაზე საკითხის დაყენება.
საბჭოს წევრი მარიკა ზაქარეიშვილი დაეთანხმა გიორგი გამყრელიძის მოსაზრებას.
საბჭოს წევრები დაეთანხმნენ საბჭოს თავმჯდომარეს შეეცვალათ დარგის ექსპერტის შეფასება და ხარვეზი რეკომენდაციაში გადაეყვანათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი“ /01575/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემიას (ს/კ: 400306860) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი /01575/ **(დანართი 4).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 16:17 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01576	პრაქტიკული ბუღალტერია	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	32	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №189

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01577	ესთეტიკური კოსმეტოლოგიის სპეციალისტი	პროფესიული მომზადება	მესამე	11	ქართული	32	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №189

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01573	სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელ დაწესებულებაში	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	14	ქართული	32	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №189

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01575	ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	20	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №189